ოქმი:**ო63. 6324268001**
თარიღი:**24/09/2024**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს

განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა

კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N11

20 სექტემბერი, 2024 წელი.

მიმდინარე წლის 20 სექტემბერს ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს განათლების, კულტურის სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისია, რომელსაც თავმჯდომარეობდა განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ირაკლი მელაშვილი.

სხდომას ესწრებოდნენ: ირაკლი მელაშვილი, გოჩა არველაძე, აკაკი მინაშვილი, ბადრი შენგელია, ლიზა კრავეიშვილი, გრიგოლ ჩიგოგიძე, ლელა ჩორგოლაშვილი, ნუგზარ ჯამბურია, ტარიელ დვალიშვილი.

ასევე სხდომას ესწრებოდნენ:

- საკრებულოს წევრები - ნათია პაპავა, ვალერიანე ფოცხვერია.

- ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი“_ს ხელმძღვანელი - ტატიანა გოგუაძე.

სხდომის თავმჯდომარემ, საკრებულოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი“_ს 2024 წლის 1 იანვრიდან სექტემბრის ჩათვლით გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენა.

/მომხსენებელი: ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი“_ს ხელმძღვანელი - ტატიანა გოგუაძე/

2. სხვადასხვა

კომისიის თავმჯდომარის წინადადებით, კომისიის წევრებმა (9) ხმით კენჭი უყარეს დღის წესრიგს.

კენჭისყრის შედეგად, კომისიის წევრთა (9) ხმით, დღის წესრიგი იქნა დამტკიცებული წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, ხათუნა გაგუამ, სხდომის წევრებს გააცნო ანგარიში, 2024 წლის 1 იანვრიდან 29 აგვისტოს ჩათვლით გაწეული მუშაობის შესახებ.

ტატიანა გოგუაძე - წარმოგიდგენთ 2024 სასწავლო წელს ჩატარებული ღონისძიებების ანგარიშს(იანვარი-სექტემბერი).

1. იანვარი
   ,,შობა-ახალ წელიწადი ჩვენთვის გათენებულაო''-საახალწლო- საშობაო ზეიმების კვირეული:

   ,,ორუდილა“-ს უმცროსი ასაკის ჯგუფის ზეიმი. იანვრის თვე 13 საათი. (დიდი დარბაზი).

   ,,ორუდილა“-ს საშუალო ჯგუფების ზეიმი (დიდი დარბაზი).

   ხალხური საკრავების ანსამბლი ,,ჩანგი“, ფოლკლორული ანსამბლი ,,ალილო“.

   საზეიმო კონცერტი.

   ქორეოგრაფიულ ანსამბლ ,,ლილესთან“ სტუმრად ზრაპრის გმირები-იანვარი

   ქორეოგრაფიულ ანსამბლ ,,ლილე“-ს საახალწლო კონცერტი კულტურის ცენტრში.

   ,,საახალწლო აურზაური“ -შოუ ბალეტი ,,ფანტაზია“, კონცერტი კულტურის ცენტრში 18 იანვარი, რომელიც დაფინანსდა 4150 ლარით სუბსიდიით გასაწევი ხარჯებიდან - საახალწლო საშობაო ღონისძიებების ორგანიზება.

2. თებერვალი

   წიგნის კითხვის საერთაშორისო დღე და ჩვენ. (5 თებერვალი) .

   ,,გზანი საზეკაცო სავალნი“ დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილი ლიტერატურულ- მხატვრული კომპოზიცია-ისტორია მხარეთმცოდნეობის წრე. 8 თებერვალი საკონფერენციო დარბაზი.

   ,,კლიმატის ცვლილება ეს არ არის მითი ეს რეალობაა“ლექცია-საუბარი. 15 თებერვალი .

   ,,უფლებები და თავისუფლებები“თემით დაინტერესებულ მოსწავლე-ახალგაზრდობასთან.

3. მარტი

   ,,რა იქნებოდა ქვეყანა თქვენ რომ არ გვყავდეთ დედებო“ დედისა და ქალთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი კომპოზიცია. 3 მარტი, 13 საათი.

   ,,დედის ლოცვა მზეს მოიყვანს“ -პოეზიის საათი ორუდილას უმცროს ჯგუფში. 8 მარტი 12 საათი-14 საათი.

   ,,თქვენით ვამაყობთ“, სიუჟეტი მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის პედაგოგებისა და თანამშრომელი ქალბატონებისათვის.18 მარტი.

4. აპრილი

,,გმირებს დავიწყებას არასოდეს მივცემთ“ პერფორმანსი. 9 აპრილი დამწუხრებული დედის მონუმენტთან .მოსწავლეთა პარლამენტი, მოსწავლეთა თეატრი.

,,ო,ენავ ჩემო“- თემატური კონფერენცია ფილოლოგ ნინო ტონისა მეგზურობით.14 აპრილი 14 სთ.

,,როგორ საქართველოში მინდა ვიცხოვრო“ პრეზენტაცია ისტორია-მხარეთმცოდენობის წრე.24 აპრილი.

,,ყველაზე წიგნიერი“ ინტელექტუალური თამაში საკარო სკოლების ჩართულობით. 27 აპრილი 15 სთ.საკონფერენციო დარბაზი.

5. მაისი

,,საქართველო იყო მათი საოცნებო სახელი -პერფორმანსი დედის ძეგლთნ 9 მაისი.

,,მუზეუმი კიდობანია რომელშიც ქართველთა ცხოვრების ამსახველი მატერიალური და სულიერი სამყაროა“-მხარეთმცოდნეობის მუზეუმის საიუბილეო პროექტი(10წელი).14 საათი.

,,თავისუფლება ლომთა ხვედრია“ საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საათი.

6. ივნისი

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ფლეშმობი - ,,შოუ-ბალეტი ფანტაცია’’.1 ივნისი.

მოსწაველეთა პარლამენტი და შემოქმედებითი ჯგუფების წარმომადგენლები სტუმრად სკოლა ლამპარში. 12 საათი 1 ივნისი.

,,ანსამბლ ორუდილა“-ს საიუბილეო კონცერტი ,,ორუდილა 30 წლისაა“10 ივნისი კონცერტი ე.მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრში.16 საათი.

ფოლკ-თეატრი,, ლილე ‘’საიუბილეო კონცერტი პროექტით ,,მორდუალი“ ე.მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრში 27-28 ივნისი 17 საათი, ღონისძიება 2 დღე.
დაფინანსდა ფონოგრამები 3210 ლარით სუბსიდიით გაწეული ხარჯები, 5600 ლარით -საცეკვაო ფორმები საკუთარი შემოსავლებიდან.

ფოლკლორულ ანსამბლ ,,ჩანგი“-ს და ,,ალილოს“კონცერტი 29 ივნისი.

საგნობრივი წრეეების შემაჯამებელი გაკვეთილები სპეციალური გრაფიკით.

მხარეთმცოდნეობის მუზეუმის განყოფილების ჯურნალ ,,სამტრედიის მატიანე“-ს მე-7 ნომრის გამოცემა დაფინანსდა 3000 ლარით სუბსიდიით გასაწევი ხარჯებიდან.

2 ივლისი ანსაბლ ,,ორუდილა“-ს მოსამზადებელი ჯგუფის შემაჯამებელი კონცერტი.ე. მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრში ,დაფინანსდა 1350 ლარით,სუბსიდიით გასაწევი ხარჯებიდან.

ბავშვთა შემოქმედებითი ჯგუფების გასვლითი კონცერტები და ფესტივალ-კონკურსების ტრანსპორტირება დაფინანსდა 1900 ლარით, აქედან 1000 ლარი

სუბსიდიით და 900 ლარი საკუთარი შემოსავლებიდან.

8. აგვისტო

წმ. ნაზარე ლეჟავას ხსენებისადმი მიძღვნილი ღონისძიება,მოსწავლე-ახალგაზრდობის შემოქმედებითი ჯგუფების ჩართულობა,დაფინანსდა 2000 ლარით სუბსიდიით გასაწევი ხარჯებიდან.

9. სექტემბერი

ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით ღია ცის ქვეშ ღონისძიების ორგანიზება, ადგილობრივი შემოქმედებითი ჯგუფები და მოწვეული სტუმრები. დაფინანსდა 6000 ლარით სუბსიდიით გასაწევი ხარჯებიდან.

,,სამტრედიობა 2024“ ქალაქის საზეიმო პროექტში ჩართულობა და აქტივობა:

ფოლკ-თეატრი ,,ლილე „პროექტი ,,მორდუალი“,

,,ყველა სახლზე სამტრედეა“,

,,სამტრედია სიყვარულის,ოცნებების ალაგი...“ ფლაერების გავრცელება მოსწავლეთა პარლამენტი.

კომისიის წევრებმა მოისმინეს ანგარიში და აზრი გამოთქვეს.

ირაკლი მელაშვილი – მადლობას გიხდით ამომწურავი ანგარიშისთვის. გთხოვთ, წარმოგვიდგინოთ თქვენი შენიშვნები, პრობლემები.

ტატიანა გოგუაძე - ინფრასტრუქტურას რაც შეეხება, დაგეგმილი გვაქვს გარე ფასადის გაკეთება. სხვა მხრივ ყველანაირად უზრუნველყოფილი ვართ ამ ეტაპზე. მთავარია, გვყავს მოსწავლეთა დიდი რაოდენობა, რესურსი, იმისთვის რომ ვიმუშაოთ.

ლელა ჩორგოლაშვილი – მეტი ინფორმაციის მიწოდება თუ მოხდება სკოლებში, ვფიქრობ მოსწავლეთა მოთხოვნა გაიზრდება.

ლიზა კრავეიშვილი – მადლობა მინდა გადაგიხადოთ გაწეული მუშაობისათვის. თქვენს უწყებას აქვს ძალიან კარგი ტრადიციები და მიხარია, რომ აგრძელებთ. ჩვენგან ყოველთვის გექნებათ გვერდით დგომა. დადებითად ვაფასებ თქვენს მუშაობას.

ნათია პაპავა – წარმატებას და ნაყოფიერ მუშაობას გისურვებთ. ჩვენს მუნიციპალიტეტში არ მეგულება ოჯახი, რომლის ოჯახის წევრს არ მიეღო მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მადლი.

ნუგზარ ჯამბურია - ვუერთდები შეფასებას და მადლობა მინდა ვუთხრა თქვენს სამსახურს. მართლაც უდიდეს წვლილს დებთ მოსწავლე-ახალგაზრდობის აღზრდის საქმეში.

არაფერს ექნება ფასი, თუ ჩვენ სულიერად ძლიერი მომავალი თაობა არ აღვზარდეთ. ამიტომ ეს ადამიანები უდაოდ დასაფასებელია და ჩვენ ყველანაირად ხელი უნდა შევუწყოთ, შესაძლებლობის ფარგლებში.

დაადგინეს: კომისიის წევრებმა (9 ხმით) მიიღეს ზემოაღნიშნული ინფორმაცია და დადებითად შეაფასეს.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოწურულია.

სხდომის მდივანი: /ნათია დოლიძე/

ირაკლი მელაშვილი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
განათლების, კულტურის, სპორტისა და
ახალგაზრდულ საკითხთა კომისია-განათლების,
კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა
კომისიის თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი